“დინამო” (მინსკი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

მინსკი. “დინამოს” სტადიონი. 8 აპრილი.

“დინამო” (მინსკი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

მინსკი: ვერგეენკო, ბოროვსკი, კურნენინი, იანუშევსკი, ალექსეენკო, პროკოპენკო, გოცმანოვი, პუდიშევი, ზიგმანტოვიჩი, გურინოვიჩი (ვასილევსკი) კონდრატიევი (სოკოლი).

თბილისი: მჭედლიძე, ჟიბა, ჩივაძე, პაიკიძე, მუჯირი, ჯოხაძე (კოპალეიშვილი), სვანაძე, სულაქველიძე, ჩქარეული, კაკილაშვილი, გურული (გოგრიჭიანი).

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გააფრთხილეს იანუშევსკი.

დუბლიორები – 1:0.

წაგებულ მატჩზე წერა და საუბარი ძნელია. შეიძლება, ეს ასეცაა, მაგრამ გუშინწინდელ მატჩში არაფერი მომხდარა ისეთი, უფრო სწორად, ვერაფერი ვნახეთ ისეთი, რამაც შეიძლება კაცს იმ კონკრეტულ შეხვედრაზე საუბრის ხალისი დაუკარგოს.

რა თქმა უნდა, თამაშის ზოგიერთმა მონაკვეთმა, განსაკუთრებით კი 39–ე წუთზე, რომ იტყვიან, “უგემურმა” გოლმა (კარისკენ არც თუ ძლიერად დარტყმული ბურთი უხერხულად მოიგერია მჭედლიძემ და კონდრატიევს ისღა დარჩენოდა ცარიელ კარში შეეგორებინა იგი) ბევრი ჩვენგანი გაანაწყენა, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელების თამაშმა საერთოდ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა იმათზე, ვინც იმ საღამოს სწორედ ფეხბურთის სანახავად იჯდა ტელევიზორთან.

ეს კარგი შთაბეჭდილება, რა თქმა უნდა, მხოლოდ შთაბეჭდილება არ არის და საკმაო არგუმენტაციასაც შეიცავს.

თუ რამდენიმე წუთს ამოვაგდებთ სათვალავიდან, ჩემპიონი საკუთარ მინდორზე, საკუთარ თავში მაინცდამაინც დაჯერებულად ვერ გამოიყურებოდა. მასპინძელი ერთობ ფრთხილობდა მეორე ტაიმში. მიზეზი, რა თქმა უნდა, მეტოქის აგრესიული, ოსტატობითაც საკმაოდ გამაგრებული თამაში იყო.

ზუსტად გამოანგარიშება ალბათ შეუძლებელია, მაგრამ ბურთი შედარებით მეტ ხანს, უფრო კი მეორე ტაიმში, მაინც თბილისელებს ჰქონდათ. არც ტერიტორიული უპირატესობა, არც კუთხურებისა და საჯარიმოების რაოდენობა ამბობს რამეს მასპინძელთა უპირატესობაზე. რაც შეეხება ყველაზე ანგარიშგასაწევ მაჩვენებელს – საგოლე სიტუაციებს, მატჩის ტელეკომენტატორსაც დავიმოწმებ და ვიტყვი, რომ თბილისელებს გოლის გატანის მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ.

მაგრამ, თუ ცოტაოდენი ლოგიკა მაინც არის ფეხბურთში, მატჩი ასეთი შედეგით არ უნდა დამთავრებულიყო.

რა თქმა უნდა, თბილისის “დინამოს” დღევანდელი ამოცანებისა და მიზნების ფონზე დაკარგულ ქულაზე წუწუნი ალბათ ზედმეტია, მაგრამ, ჩვენი აზრით, არბიტრს საჯარიმოების ფიქსირებისას მეტი სიზუსტე უნდა გამოეჩინა.

თუმცა, არსებითი ალბათ არც ეს არის. არბიტრთა შეცდომები ყოველთვის იქნება. ჩვენი სურვილი კი ის არის, რომ მერე და მერე ნებისმიერი თამაშის შედეგი სულ უფრო ნაკლებად იყო დამოკიდებული ამ და სხვა, მეტნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორებზე.

ი. ბერიაშვილი.
“ლელო”, 10 აპრილი, 1983 წ.